ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 161

"14" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის №27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი №01.11.10.001.048.01.018 და №01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრორაიონის №27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.048.01.018 და №01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის №20.652.812 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

					დანართი N1
		ქალაქ თბილისი, გლდანის დასახლება, მე-8 მიკრო/რაიონი კორპუსი N27ა (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.048)			
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინი ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	ლალი ღარიბაშვილი	24001026012	სართული 1, ბინა N8	121.00 კვ.მ	01.11.10.001.048.02.008
2	ოლღა ადუაშვილი	59001011973	სართული 1, ბინა N18	53.33 კვ.მ	01.11.10.001.048.01.018